„ღმერთო,
სამშობლო მეცოცხლე,
მძინარეც
ამას ვდუდუნებ!“

კავკასია

ეროვნული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №5-6 (41-42) ივნისი – ივლისი 2010 წელი ფასი 1 ლარი

ქედს არ მოიდრეკს კავკასია, ერეთოლოვ!..

გვ. 3

კავკასიის მზე — საქართველო

გვ. 2

ოსური ენციკლოპედიის ლეტალური: ნაილური თუ ვაჟოროვილი სეფრაფა ეჯაკეკში

გვ. 4

როშკა-არხოტის გზის მშენებლობა — მოჯადოებული წრე

გვ. 5

მონატრება — გოდერძი ჩოხელი

გვ. 6-7

გაღათერ არაგული

ხევსურეთის მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები

(სავედრებელი)

მამ-პაპათ წეს-ადათის ერთგულად შემსრულებნი,
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები. . .

არაგველებიკით რომ იყვნენ გულადები
და მამულს იცავდნენ კვლავაც გულანთებით. . .

ლესავდნენ ფრანგულებს და ფარებს ფერავდნენ,
ტანზე კი იცვამდნენ კვლავ ჯაჭვის პერანგებს. . .

რომ მათი საბრძოლო ხაფი და ყიჟინა
მტერსა და ორგულს კვლავ სცემდეს შიშის ზარს. . .

მთა-ბარს ავედრებდნენ სამყაროს გამჩენს
და ღმერთებს სწირავდნენ ჯიხვებს და არჩვებს. . .

ჯვარ-სალოცავების წეს-რიგის შემსრულებნი,
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები. . .

მაწმავლებ-დათვისლები, გველეთლებ-აჭოვლები,
მთებიკით ლაღები და მთებიკით ახოვნები. . .

ჩირდილელ-ლიქოკელნი, გუდანელ-ხახმატელნი,
თვით უფლის ყმანი და ყმანი ჯვარ-ხატების . . .

გვარ-ტომად ფხოველნი და ძირად ქართველნი,
პირიქითელნი და პირაქათელნი. . .

არღუნის, ასაის, არაგვის პირელნი,
საბრძოლო ლაშქარში ყოველთვის პირველნი . . .

არდოტლებ-ანდაქლები, ატაბლებ-ჯუთელები,
რომლებიც სამშობლოს ღამეებს უთენებენ . . .

შთამომავლები ვმირი წინაპრების,
მამულის გულისთვის სიკვდილთან წილნაყრები. . .

ბლოელებ-ბისოვლები, ღულელებ-ჭიელები,
მომხდურზე კვლავაც რისხვად რომ იელვებენ . . .

მუცოელ-შატილელნი, არხოტელ-როშკელნი, —
თოვლიან მწვერვალებით და ციხე-კოშკებით. . .

თავის მთას იქითით და თავის გორშელმით,
ჯვარ-კვრიკში შენახული საბრძოლო დროშებით. . .

მიუწვდომ მთა-გორებით, გაუვალ ტყე-ველით,
უტეხად რომ იდგნენ კვლავ მიღმაჭეველნი. . .

წინაპართ საფლავებით და შვილთა აკვნებით,
არც ვისზე მეტნი და არც ვისზე ნაკლებნი. . .

ახალგაზრდებით და ხანში შესულებით,
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები. . .



კავკასიის მზე — საქართველო!..

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტში, კავკასიელ ხალხთა გენოციდთან დაკავშირებით მეცნიერთა და ექსპერტთა დასკვნის განხილვა მოეწყო. ბოლო ხანს სულ უფრო აქტიურად ისმის საკითხი ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხის გენოციდზე. ეს თემა უფრო და უფრო აქტუალური გახდა. უფრო მეტი კონტაქტები მყარდება თავისუფლების მოყვარე კავკასიელ ხალხთან — მეცნიერებთან, მოსახლეობასთან. დიდმა ტრაგედიებმა ერთმანეთს უფრო მეტად დაგვაკავშირა.

საქართველოს პარლამენტში, პირველი რესპუბლიკის დარბაზში, პარლამენტის უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა კომიტეტისა და კავკასიელ ხალხთან ურთიერთობის ჯგუფის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ამავე კომიტეტის თავმჯდომარე **ნუგზარ წიკლაური**, საქართველოს პარლამენტის სპიკერი **რუსუდან კერვალიშვილი**, კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე **ლაშა გვასალია**, პარლამენტის დეპუტატები, კომიტეტის თავმჯდომარეები, პარლამენტარი **გიორგი კანდელაკი**, **კობა ხაბაზი**, მეცნიერთა ჯგუფი კავკასიოლოგები **ბეჭან ხორავა**, **მერაბ ჩუხუა**, **მიხეილ ქურდიანი**, **გია გვაზავა**, **თამარ უჯუხუ**, ჩერქეზი მწერლის ქალიშვილი **ანა ლოხვიცკაია**, **დავით ბერიკაშვილი**, **მექა ხანგოშვილი**, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტი **ალექსანდრე კვახაძე**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები. კავკასიის ხალხთა თანამეგობრობის ჯგუფი.

პროფესორებმა ბეჟან ხორავამ და მერაბ ჩუხუამ წარმოადგინეს არა მხოლოდ ქართველი და კავკასიელი, არამედ უცხოელი და თვით რუსი მეცნიერებისა და ექსპერტების მასალებზე დაყრდნობით შექმნილი დასკვნები, სადაც ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სამხედრო ექსპედიციებისა და ეთნიკური წმენდის საზარელი მაგალითები და სტატისტიკა წარმოადგინეს.

„ფაქტები მეტყველებს, რომ ამ მოვლენებს ასეულობით ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. რა კვალიფიკაცია მიეცემა, ამას დრო და ბევრი მსჯელობა სჭირდება,“ განაცხადა დასკვნების მოსმენის შემდეგ პარლამენტის წევრმა **გიორგი კანდელაკმა**.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, კომიტეტი დაელოდება სხვა მეცნიერთა დასკვნების გამოქვეყნებასაც, რომელთა დეტალურად განხილვის შემდეგ ამ მოვლენებთან დაკავშირებით შესაძლებელი იქნება კონკრეტული დასკვნების გაკეთება. ისინი ასევე მიმართავდნენ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, ასევე იურიდიულ საკითხთა კომიტეტებსაც, რომ ეს საკითხი მათაც განიხილონ, რათა იურიდიული კვალიფიკაციის საკითხი დადგეს.

ეს დისკუსია გაგრძელდება და მნიშვნელოვანია, რომ არ იყოს ლოკალური, არ შემოიფარგლოს მხოლოდ საქართველოთი და გახდეს მასშტაბური, მას უნდა მიეცეს საერთაშორისო ხასიათი. ამის წინაპირობა უკვე არსებობს და უახლოეს თვეებში ჩრდილოკავკასიური საკითხი იქნება უფრო აქტუალურიო მთელ მსოფლიოში. დისკუსიები კვლავ გაგრძელდება, განაცხადა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ წიკლაურმა.

გვესაუბრებიან დისკუსიის მონაწილენი:

ბეჭან ხორავა:

— საქართველოს მომავალი, მისი ძლიერება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ჩრდილო კავკასიის ხალხის ეროვნულობის, თვითმყოფადობის შენარჩუნებასთან და პირიქით... ამისი ნათელი მაგალითია ისტორია.

ჩრდილო კავკასიის ხალხს, რომლებიც საქართველოსთან, ქართველ ხალხთან ერთიანობაში ხედავენ თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და პროგრესული განვითარების წინაპირობას, ჩვენი მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდება.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთმა კავკასიაში ჩერქეზების, ანუ ადიღეების, რომელთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებში ლაბაზები და უბიხები შედიან, შეიმუშავა მათი განადგურების გეგმა.

რუსთა სამხედრო ექსპედიციების ძირითადი მიზანი წლების განმავლობაში მთიელთა აულების განადგურება იყო, მათი პურისა და თივის მარაგის განადგურება, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის გატაცება, და ამ გზით ხალხის შიმშილით ამოხოცვა.

1804 წ. — ჟანაელების აულების განადგურება.

1809 წ. — ნათხვაჯების 40-მდე აული განადგურდა.

1809 წ. — ატამანმა **ბურსაკმა** 5 დღის

განმავლობაში 18 აული გაანადგურა.

1822 წ. თებერვალი. — გენერალმა **ვლასოვმა** შაფსუღეთში 17 დიდი აული და 119 ხუტორი გადაწვა. 700-მდე სული მსხვილფეხა საქონელი და 400-მდე ცხვარი გაიტაცა, გაანადგურა პურისა და თივის მარაგი.

1852 წ. — კონტრ-ადმირალმა **ლ. სერებრიაკოვმა** მხოლოდ ერთი ლაშქრობისას შაფსუღებისა და ნათხვაჯების 44 აული გაანადგურა.

ნიკოლოზ I-ის (1825-1855) დირექტივა გრაფ ი. პისკევიჩისადმი (1829):

„დაამთავრეთ რა ამრიგად ერთი დიდებული საქმე, თქვენ მოგელით მეორე, ჩემი აზრით, ისეთივე დიდებული, ხოლო პირდაპირი სარგებლის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი — მთიელ ხალხთა სრული დამორჩილება ან მათი განადგურება.“

„Усмирение навсегда горских народов или истремление непокорных“

პ. პესტელის „რუსკაია პრავდა“. მთიელთა განადგურების ა. ველიამინოვისეული გეგმა (1833 წ. მაისი):

„ადგილობრივი მოსახლეობა მთლიანად დამოკიდებულია მოსავალზე. ამიტომ საჭიროა ყოველ შემოდგომაზე ყანების განადგურება, ამის შედეგად, ხუთი წლის განმავლობაში ისინი შიმშილით ამოწყდებიან.

სასურსათო ბლოკადა. — მთიელების დამორჩილებამდე მათთან ვაჭრობისა და მარილის მიყიდვის აკრძალვა.

1860 წ. ბარიატინსკის გეგმა.

მთიელების გამოდევნა ხდებოდა მთებიდან შავი ზღვისკენ. მათ მიერ სტავროპოლის გუბერნიის სტეპებში ჩასახლებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ისინი თურქეთში უნდა გადაესახლებინათ, ხოლო მათ მიწა-წყალზე რუსები ჩაესახლებინათ.

ულტიმატუმი: გადასახლებულიყვნენ ყუბანისპირა ვაკეზე, ან თურქეთში წასულიყვნენ.

გადასახლების სიმძიმე.

გადასახლება — ოფიციალური მონაცემებით 470 ათასი თურქეთში, 90 ათასე ყუბანზე.

ამის შედეგად, მთლიანად გადასახლდნენ უბიხები და ჯიქები, მაგ. **ბაღ-ის** თემიდან 27 კაცი დარჩა კავკასიაში. აღარ არსებობენ ნათხვაჯები და სხვ.

აქ ლაპარაკია არა მარტო გენოციდზე, არამედ მთლიანად ერების განადგურებაზე.

ამრიგად, ისტორიის არქივიდან გაქრნენ ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ეროვნებათა ეთნოგრაფიული ჯგუფები.

მაგალითად, **ინგუშურ-ოსურ** კონფლიქტს მოსახლეობის მესამედი — 300 ათასამდე ადამიანი შეეწირა.

რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს კი ხალხთა მასობრივი მკვლელობის და ხოცვა-ჟლეტის პოლიტიკა განხორციელდა, კვლავ გრძელდება რუსების მიერ ეროვნული და ეთნიკური ნიშნით ჩეჩნებისა და ინგუშების, იგივე ვაინახების მიმართ გენოციდი, ერთად დაწვა და განადგურება, 16-ჯერ მოხდა მათი გადასახლება და დეპორტაცია.

ჩრდილო დასავლეთ კავკასიის ავტოქტონური მოსახლეობა, საკუთარი სახელწოდება აღიღე, აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში მრავალრიცხოვანი ადიღეების საერთო სახელწოდებად იხმარებოდა. ჩერქეზებით დასახლებული მიწა-წყლის აღსანიშნავად დამკვიდრდა ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი: ჩერქეზი და ჩერქეზეთი. ეს ადგილი ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა.

ადიღეური ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღეურ ჯგუფს ეკუთვნის. ჩერქეზები (ადიღეები) ეთნოგრაფიულ ჯგუფებად იყოფოდნენ: აბაძეხები, ბესლენელები, ბჟედუღები, ჟანაელები, ეგერუყვები, მამხეღები, ნათხვაჯები, თემირგოელები, ხატუკაელები, შაფსუღები, ყაბარდოელები.

ამ ჯგუფებიდან ზოგიერთები ისტორიის არქივიდან გაქრნენ, მაგალითად, ჯარები, უბიხები, ნათხვაჯები, აბაზები და სხვა.

მიხეილ ქურდიანი:

— საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკაში მნიშვნელოვანია ჩრდილო კავკასიის ქვეყნების ახალგაზრდობის დაკავშირება სამხრეთ კავკასიასთან. საჭიროა დაეუფლონ კავკასიოლოგიას, ჩაერთონ პოლიტიკურ კავშირებში.

ჩვენი ქვეყანა — საქართველო ერთადერთია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესწავლისათვის, კავკასიელ ხალხთა ურთიერთობისათვის და მჭიდრო პოლიტიკური კავშირებისათვის, ასევე ჩვენს ნათესავ კავკასიელებთან მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები.

კავკასიის საკითხებზე რამდენჯერმე გაიმართა დისკუსია. ერთიანობითა და ერთობით, კავკასიაში ჩვენ შევძლებთ თავისუფლებისა და მშვიდობის განმტკიცებას.

მექა ხანგოშვილმა მოკლე და ძალზე შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა ჩეჩნებისა და ქართველების საოცარ სიყვარულზე, თანადგომაზე, მეგობრობასა და ნათესაობაზე. მან საუბარი დაასრულა ჩეჩნეთის უმამაცესი პრეზიდენტის **ჯოხარ დუდაევის** სიტყვებით: „ჩვენ არ გავტყდებით, არ ვიტირებთ, არ დავივიწყებთ!...“

ალექსანდრე კვახაძე თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტი:

მინდა ვთქვა, რომ ჩრდილო კავკასიაში ხდება როგორც ერის ფიზიკური განადგურება, ასევე მათი ენების განადგურება და აღგვა. ამას სოციალ ლინგვისტიკის ენაზე **ცალმხრივი ბილინგვიზმი** ეწოდება, მათთან, არცერთ რესპუბლიკაში არ ხდება საქმის წარმოება ადგილობრივ ენაზე, ხოლო მასმედიის ეთერი 75-დან 100 პროცენტამდე წარმოებს რუსულ ენაზე. სკოლებში მშობლიური ენის გაკვეთილები გახდა არა სავალდებულო, არამედ არჩევითი საგნები და ამის ფონზე **თბილისი რჩება ერთადერთ კუნძულად, სადაც კავკასიური ენები ისწავლება ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კომპლექსურად მხოლოდ საქართველოს დედაქალაქ — თბილისში.**

დისკუსიის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ **21 მაისი გამოცხადდეს კავკასიელი ხალხის, ერთიანობისა და სოლიდარობის დღედ და ყოველწლიურად ეს თარიღი საზეიმოდ აღინიშნოს.** ითქვა ისიც, რომ კარგი იქნებოდა აფხაზეთის ხელისუფლების ჩართვა მომავალ დისკუსიაში.

იზა ჯაჭვაძე

„გადავარჩინოთ ხევსურული სახლი“

ამ დღეებში **საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში — „გალერეა“** — გაიხსნა ფოტოგამოფენა — „გადავარჩინოთ ხევსურული სახლი.“

ხევსურეთი ეთნოგრაფიულად საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე თვალწარმტაცი და გამორჩეული კუთხეა. მკაცრმა გარემო პირობებმა, თავისებურმა მძიმე ყოფამ, ბართან სიშორემ, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიას შორის საზღვარმა, მეზობელ ტომებთან გამუდმებულმა ბრძოლამ და თავდაცვამ, წარმოშვა შეუდარებელი ხევსურული ფოლკლორი — უნიკალური ხევსურული ზეპირსიტყვიერება, რომელშიც აისახა ცა და მიწა, ქვესკნელი, და ზესკნელი, ასეთი მიწიერი ყოფა და კოსმიური ხილვები, ხევსურული სახლი, ასეთი აზროვნების სამყაროს ხევსურული აღქმის ანარეკლი და შედეგია: სამი სკნელით (სამი სართულით), სააქაოთი და საიქიოთი, ხემხვივანით, მზისეთით და შავეთით.

გასული საუკუნის 50-იან წლებში ხევსურთა მასობრივად ბარში ჩამოსახლებამ, თითქმის დაცალა ეს უნიკალური კუთხე და საფრთხე შეუქმნა ხევსურულ ფენომენს და მის ერთ-ერთ უძლიერეს გამოვლენას — ხევსურულ სახლს. ხევსურული სახლი მთლიანი ხუროთმოძღვრული კომპლექსია — გალავნით, ციხექავით და საკუთრივ სახლით. ხევსურული სახლის გასაცარი ნიმუში, ზვიადაურთა ციხე-კოშკი, — ქავზე მიკრული მტრის გამხმარი მარჯვენით, — არდოტში გასული საუკუნის 30-იან წლების მიწურულს ჩაიშალა და ჩაინგრა. მას შემდეგ თითქმის საუკუნე გავიდა. რამდენი ხევსურული სახლი შეიწირა დაუნდობელმა დრომ და უყურადღებობა-გულგრილობამ.

გამოფენაზე წარმოდგენილი ხევსურული სახლების უმეტესობა დანგრევის პირას არის მისული. გამოფენის ორგანიზატორებმა დამთვალიერებელს გააცნეს გეგმა, როგორ უნდა გადარჩეს ხევსურული სახლი, მოხდეს რესტავრაცია და ქართულ კულტურას შეუნარჩუნდეს ის განძი და ფენომენი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. ხევსურეთი, რესტავრირებული ხევსურული სახლით, ტურისტებისათვის ერთიორად საინტერესო და მიმზიდველი იქნება, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დამაგრებას და შენარჩუნებას.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ფოტოხელოვანთა მიერ დროთა განმავლობაში გადაღებული ხევსურეთის თითქმის ყველა სოფლის ხედები, პეიზაჟები, ამ კუთხის ადამიანებისათვის დამახასიათებელი ტალავარი და აბჯარ-იარაღში გამოწყობილი ტიპაჟები, მათი ყოფა-ცხოვრების ამსახველი უნიკალური ფოტოები.

გამოფენის მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის **ცისანა მარინდაშვილს** და **მანანა დავითაშვილს**.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან **ეთნოკულტურათა საერთაშორისო ცენტრი „მერკინალი,“** ბატონები **დავით ჭელიძე**, და **ივანე წიკლაური (ჯურხათ ივანე)**, ქალბატონი **ინგა გაბაშვილი**, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელი **გიორგი უშიკიშვილი**.

ლეილა არაბული

კარგა ხანია კავკასია ხსნას ითხოვს. იგი ისჯება მარტოოდენ კანონიერი უფლების — დამოუკიდებლობის მოთხოვნისათვის, რაც უხსოვარი დროიდან უფლის მიერ აქვს მინიჭებული ყველა ერს და კავკასიის რეგიონს, რომელიც დღესდღეობით ყველა თვალსაზრისით მოქცეულია დიდ სახელმწიფოთა ყურადღების ცენტრში და რუსეთისაგან პროვოცირებული ეთნოკონფლიქტებისა და იმპერიული აგრესიის არენად ქცეულა. ამ ბახკანალიას არა და არ დაესვა წერტილი. დაუფარავად უნდა ითქვას, რომ თავად კავკასიის ხალხებსაც აღარ შესწევთ ძალა, წინაპართა გამოცდილება მოიშველიონ და კეთილმეზობლურ საწყისებზე დაყრდნობით თავი გაართვან საერთო-კავკასიურ პრობლემებს. ამ ფონზე ძნელია დამაიმედებელი ლაპარაკი მის ბუნდოვან მომავალზე, მაგრამ ფარ-ხმალს ბრძოლის ველზე მხოლოდ გაუწვრთნელი და მხდალი დაყრის. უნდა გამოინახოს გადარჩენის გზა...

ქედს არ მოიდრეკს კავკასია, ერმოლოვ!..

გაზეთი „კავკასია“ მიესალმება მოძმე და მამაც ინგუშებს, ჩეჩნებს, დაღესტნელებს, ჩერქეზებს, ყაბარდო-ბალყარელებს და საერთოდ კავკასიელებს, რომელთა მიწა-წყალი რუსმა ოკუპანტებმა ტერორიზმისა და უთანასწორობის ბრძოლის არენად აქციეს.

„ქედი მოიდრიკე, კავკასიავ, ერმოლოვი მოდის!“ — წერდა გენიალური პოეტი **მიხეილ ლერმონტოვი**, მაგრამ ცდებოდა. მრავალეროვანი და მრავალფერადი კავკასია, გამორჩეული ენათა სიუხვითა და ეთნოლოგიური თვითმყოფადობით, რომელიც მსოფლიოს ცაზე ყველაზე კაშკაშა ხომლია, მრბეველ მოძალადეს ქედს არასდროს მოუხრის. დღეს კოლონიზაციის პოლიტიკის გატარება თავადვე მოუღებს ბოლოს მის ხელქმნელს და ეს მთელი სიგრძე-სიგანით უნდა გაითვითცნობიერონ იმპერიული ტიპის სახელმწიფოებმა.

ამჟამადაც ომია კავკასიის შთამომავლთა ისტორიულ მიწა-წყალზე. შენიღბული ბარბაროსული ომი. ჩვილი ბავშვებიც დამპყრობელთა სამიზნედ ქცეულან.

თუნდაც ბესლანის ტრაგედია გავიხსენოთ...

რუსეთი ტყუილუბრალოდ ირჯება, როცა ფატალური ძალა ჩვენსკენ ისვრის პროვოკაციის ანკესს — ეგებ მას ვინმე უგუნური წამოეგოსო. ქართველ ერს XIX საუკუნის კავკასიის ომის უნებლიე სისხლიც სინანულის გრძნობას ჰგვრის, რომელიც ისტორიული ბედის ირონიით მიესხურა მისსავე ხელებს.

კავკასია შეიძლება დაყოფილი იყოს პოლიტიკურად, მაგრამ ერთიანი-ისტორიული სვე-ბედითა და წარმომავლობით, ყოველმა მოკვდავთა-განმა, უპირველესად პატივი, მეზობელს უნდა მიაგოს. ყველა ტრაგედია, რომელიც შენს მეზობლად თამაშდება, შენც გეხება ის გლობალური პრობლემები, რომლებიც გარდაუვალობით თავს იჩენენ ნამარ ქვეყანაში, შენი პრობლემაც არის, ვინაიდან, პირდაპირ თუ ირიბად, შენც შეგეხება. ჩვენ კარგად ვიცით რას ნიშნავს არეული ქვეყნის მეზობლობა. ეს მკაფიოდ გამომჟღავნდა ვაინახი ხალხის დეპორტაციისას, როცა მუხთალ ბედთან შეურიგებელმა ქისტებმა ტყეს მისცეს თავი. თავზეხელაღებული ყაჩაღი კი, ყველას კარგად მოეხსენება, საშიშია სახელმწიფოსთვისაც და ყველა რიგითი მშვიდობიანი მოსახლისათვისაც. ყველამ კარგად ვიცით, რა როლი ითამაშა საქართველომ მეზობელი ჩეჩენი ხალხის თანადგომაში, არცერთმა მუსულმანურმა ქვეყანამ არ შეიფარა მათი ლტოლვილები. ეს თანადგომა კი საქართველოს ძვირად დაუჯდა

ისტორიული ფაქტებით ცნობილია, რა ჯოჯოხეთური რისხვა იწვნიეს ვაინახური წარმომავლობის ხალხმა. შეუძლებელია ერში ყველა ტერორისტი იყოს — ამის დაჯერება ანბანური ჭეშმარიტების უარყოფა და უკეთურების მსახურება იქნებოდა. ტერორიზმი საყოველთაოდ დასაგმობია და მისი ფესვები სამარადჟამოდ ამოსაძირკვი. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხის ტერორისტებად მონათვლა კი დიდი დანაშაულია. ტერორიზმთან ბრძოლის მომიზეზებით დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ხალხს გენოციდი არ უნდა მოუწყო და არ უნდა აღგავო პირისაგან მიწისა.

რუსეთ-ჩეჩნეთის თემას რომ თავი დავანებოთ, ბოლო წლების განმავლობაში დაშვებული მასშტაბური და საბედისწერო შეცდომებით ბევრი რამ ისწავლა ჩვენმა ხალხმა.

თანამედროვე ამერიკელი ფილოსოფოსი **ფრიდრიხ ფონ ჰეიკი** წიგნში: „თავისუფლების კონსტიტუციები“, აფრთხილებს თავის ქვეყანას, რომ როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები თავს ახვევს პატარა ქვეყნებს ამერიკულ დემოკრატიას, როგორც საუკეთესო სახელმწიფო იდეოლოგიას, ამით დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ ხალხს ფესვებშივე უხშობს ეროვნულ თვითმყოფადობას.

დიდმა ქვეყნებმაც და პატარებმაც კარგად იციან, რომ თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური ინტეგრაციის და უსაფრხოებისათვის სწრაფვას, ისევ იმპერიული ბუნება-ხასიათი აქვს, რომ თანამედროვე მსოფლიო ჯერ კიდევ შორს არის საკაცობრიო კეთილშობილი იდეალებისაგან.

ბევრს გვიყვარს რუსეთი, **დოსტოევსკის და ტოლსტოის, ლერმონტოვის** და **ბორის პასტერნაკის, მარინა ცვეტაევასა და ბელა ახმადულინას** რუსეთი, რუსი ხალხის რუსეთი და არა **ერმოლოვის და ტოტლებენისა.**

ქედაღლურად იყურება რუსეთის დუმა და პრეზიდენტი, გვაბრალებდა რომ ჩვენი ხელისუფლება და ქვეყანა ვერ აკონტროლებდა სიტუაციას ჩვენსავე ტერიტორიაზე — პანკისის ხეობაში, ვერ აკონტროლებდა ნარკოტიკების მიჩქმალულ საქმეებსა და ამ დროს თვითონ ვერ აკონტროლებენ საკუთარი ქვეყნის თვითმფრინავებს საქართველოს საჰაერო სივრცეებში რომ იჭრებიან და ბომბებს აყრიან შატილის მიდამოებს (დალის) კოდორის ხეობას, ახმეტიანეთის მთებს, თუშეთის და ცხინვალის რეგიონის ქართულ მოსახლეობას. ხუთმილიონიანი ბედკრული საქართველოსთვის ერთი კაცის სიკვდილიც კი დიდი დანაკლისია და ამასთან, ეს არის თავდასხმა და დარბევა ჩვენი განუმეორებელი ბუნებისა, დარბევა კაცობრიობის კუთვნილი უნიკალური ცნობიერების მატარებელი ქვეყნისა და ხალხისა.

რუსეთმა შატილის მხარეს რომ საზღვარი გადმოსწია და წაგვართვა შვიდი კილომეტრი სიგრძის ტერიტორია, იმ ფართობზე ერთი ადგილის დედის სალოცავიც მოჰყვა და იქაურთა საარსებო სათიბ-საძოვრებიც.

განა ფსიქოლოგიური ტერორი და შანტაჟი ნაკლები დანაშაულია? ასევე საქართველოს გული ამოგლიჯა რუსეთმა და დალის ხეობა უბრძოლველად მიისაკუთრა. ასევე, რუსთა ურდოებმა საქართველოს გული ამოგლიჯა , როცა შიდა ქართლი, ანუ ცხინვალის რეგიონი მთლიანად მოსწყვიტა დედა საქართველოს, მამულიშვილები, ჯარისკაცები და მოსახლეობა ამოწყვიტა.

ქვეყანა იცვლება, მაგრამ როგორც სჩანს პოლიტიკა და გენერლები არასდროს იცვლებიან...

დიდმპყრობელური ჟინი კი ყველა ეპოქაში ნავარდობს... ჩვენთან თუ... უცხოეთში.

უფრო შენიღბული და ბარბაროსული ტეროტიზმით იყო ჩაფიქრებული აფხაზეთის დაბომბვა აფხაზთა (იგივე ქართველების) გამოქომაგების ნიღბითა და სპეკულაციით. დალის, ანუ კოდორის ხეობის მიტაცებით — სვანების სამშობლოსა და ადგილ სამყოფელის წალეკვით!..

ის ქვეყანა, რომელმაც სამასი ათასი ქართველი აჰყარა საკუთარი მიწაწყლიდან და მრავალი ათასი ჩაყლიტა აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონიდან დღეს მსოფლიოს ტერორისტულ ძალებს ებრძვის მსოფლიო ანტიტერორისტულ კოალიციასთან ერთად, საკუთარ ტერიტორიაზე კი სიტუაციას ვერ „აკონტროლებს“, რადგანაც მშვენივრად უწყის, რასაც სჩადის, სხვადასხვა ქვეყნებს შეახსენებდა, ვითომდა საქართველო და საკუთრივ პანკისის ხეობა იყო ტერორისტების საწყისი ბუდე — თითქოსდა აქედან იმართებოდა რუსეთსა თუ სხვა ქვეყნებში ყველა ტერორისტული აქტი და ამ „უძლიერეს ზესახელმწიფოს“ საკუთარ მიწაზე ვერ აულაგმავს საკუთარი ტერორისტული აქტები, ქართველთათვის დაკვეთილი მკვლელობები.

არა და არა, რაც არ უნდა იბრძოლო, გაჟლიტო, დაიპყრო პატარა ქვეყნები და ადამიანები, **ქედს არ მოიდრეკს კავკასია, ერმოლოვ!**

P. S. ოცდამეერთე საუკუნე დიდი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საუკუნე უნდა იყოს!.. და ჩვენი ქვეყნის საპრეზიდენტო მისიაც, ყველაზე მეტად ამ მიზანდასახულობით უნდა წარმართულიყო. სად არის პრეზიდენტის და მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, მითხარით!..

ამ დიდი საკაცობრიო მისიის აღსრულებაში კი საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ურთიერთობის სიმბოლოდ, ბომბების ჩამოყრისა და ძალით თავსმოხვეული კოსმოპოლიტიზმის ნაცვლად, აუცილებელია დარიალის კარიბჭესთან და არა მარტო იქ, საქართველოს საზღვრის ყველა შემოსასვლელთან აღიმართოს სასაზღვრო თაღი წარწერით: ფრთხილად, აქ მსოფლიო ცივილიზაციის ნაკრძალია!

ფრთხილად, თქვენ მობრძანდებით ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, ქართველთა წმინდა მიწაზე!..

იზა სტორელი

სტუმრად ლამბალოში

საგარეჯოს რაიონის დაქვემდებარებაში აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებული ხუთი დიდი სოფელია: ლამბალო, იორმუღანლო, დუზაგრამა, კაზლარი და თულარი. აქ მცხოვრებლები მშვიდი, წყნარი, უკონფლიქტო და შრომისმოყვარე ადამიანები არიან. საუკუნეების განმავლობაში მათგან წყენა არავის ახსოვს, უყვართ ღვთივკურთხეული ჩვენი მიწა, კავკასიელი ხალხი, სწავლობენ სახელმწიფო ენას და ქართველებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვთ.

აქაური ქალბატონები ძირითადად ხელსაქმეს მისდევენ. ბევრი მათგანი საკუთარი ულამაზესი ნამუშევრების რეალიზაციით აღებული თანხით ინახავს ოჯახს.

მშრომელი და ნიჭიერი ქალბატონების არსებობის შესახებ ხმამ **საქართველოს ქალთა საბჭომდეც** მიაღწია. მათაც არ დააყოვნეს და სულ ცოტა ხნის წინ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ქეთევან გაბრუაშვილი, წევრები, იზა ჯაჭვაძე, მარინე თეძთუმანიძე, ბელა დურგლიშვილი,** საქართველოში მცხოვრებ ქართველ-აზერბაიჯანელ ქალთა კავშირის თავჯდომარის მოადგილე **ნორა გასანოვა,** საქართველოში მცხოვრებ ოს ქალთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი **იზოლდა ტიბილოვა** და ხელოვნებათმცოდნე **ნანა ახვლედიანი,** მათ სტუმრად ეწვივნენ ლამბალოში. ამ ნიჭიერ ქალთა თვითშემოქმედების ნიმუშები ლამბალოს საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში გამოიფინა. თვალსა და გულს უხაროდა ბუნებრივი მასალების (ენდრო, წენგო, თავშავა, თრიმლის ხის ქერქი) გამოყენებით შეღებილი ძაფებით მოქსოვილი სპარსულორნამენტებიანი ხალიჩების ნახვა. სტუმრები გაოცდნენ „ფერთა შეხამების კეთილი ჯადოქრების“ მიერ მოქსოვილი ნოხებით, ხალიჩებით, ჯეჯიმებით; სხვადასხვანაირი ორნამენტებიანი წინდებით, ყაისნაღით ნაქსოვებით, ნაქარგებით, აზერბაიჯანელი მოსწავლე გოგონების ნახატებით. ერთ ქალბატონს შოთა რუსთაველის ერთი სტროფი აზერბაიჯანულ ენაზე ოქრომკერდით ამოუქარგავს.

აქაური ხალხური შემოქმედებითი ნიმუშების ავტორებს მიესალმნენ: საქართველოს ქალთა საბჭოს საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ღონისძიების თაოსანი **თამარ საგინაშვილი,** ლამბალოს საჯარო სკოლის დირექტორი **აღაბალი ხეირხაბაროვი,** ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, პოეტი, ორი პოეტური კრებულის ავტორი **ნინო ნანუაშვილი,** საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობი **ნათელა დიღმელაშვილი,** რომელმაც საკუთარი ლექსი წაუკითხა აზერბაიჯანელ ქალბატონებს, პოეტები: **იზა ჯაჭვაძე, მარინა თექთუმანიძე, ჟურნალისტი ბელა დურგლიშვილი,** ქალთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი **იზოლდა ტიგიევა,** საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე **ნორა გასანოვა.** დედაქალაქიდან ჩამოსულ სტუმრებს ქართულ ენაზე დაწერილი საკუთარი ლექსები წაუკითხა მეცხრეკლასელმა **ინთიკა ჭუსეინოვამ.** აზერბაიჯანელი ეროვნების ქალბატონებს თვითშემოქმედების ულამაზესი ნიმუშების შექმნისთვის სიგელები გადასცეს საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ქეთევან გაბრუაშვილმა და რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თამარ საგინაშვილმა. ქალთა საბჭოს მხრიდან გამოჩენილი დიდი ყურადღებისთვის სტუმრებს მადლობა გადაუხადეს „ოქროსხელიანმა“ პედაგოგებმა: **სარა ოჯახვერდიევამ, შამალა გულიგაზოვამ, ზოხრა ხეირხაბაროვამ, ნაზილე დულიამალიევამ, საქინა ნასიბოვამ, აფინა ედიგაროვამ, ბადირა ნასიბოვამ, დიასახლისებმა: ლალა ახმედოვამ, სამაია დუნიამალიევამ, ამინა მამედოვამ.** გამოფენაში მონაწილეობამ განსაკუთრებულად გაახარა მოსწავლეები: **ლამან ახმედოვა, შალალა იბრაგიმოვა, ფადილა ახმედოვა, ელზა შაბანოვა, აისერ ჯილილოვა...** ისინი ზეთოვანი საღებავებით, აკვარელით, გუაშით მუშაობენ.

საქართველოს ქალთა საბჭომ დიდი სურვილი გამოხატა, რათა ითანამშრომლოს აზერბაიჯანელ ქალბატონებთან, გაიზიაროს მათი ჭირი და ლხინი, დაეხმაროს პრობლემების მოგვარებაში. სწორედ ამიტომ დააფუძნა **რაიონული ორგანიზაციის ქალთა საბჭოს ფილიალი,** რომლის ხელმძღვანელად ერთხმად აირჩიეს ლამბალოს საჯარო სკოლის აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ელმირა ახუნდოვა.**

ლეილა არჩემაშვილი

ოსური აგრესიის დეტალები

რეალური თუ გამოგონილი საფრთხე ყაზბეგში



პროფესორი, ისტორიკოსი ვ. ითონიშვილი მოგვითხრობს: — „საქართველოს საზღვრებს შორის ყველაზე უფრო გრძელი ზოლი გადის ჩრდილოეთის ზონაში, რაც საქართველოს მიჯნავს მთელი ჩრდილო კავკასიისაგან (დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, (კრასნოდარის მხარე).

ჩრდილო კავკასიასთან საქართველოს აკავშირებს მრავალი გზა-გადასასვლელი, რომელთა შორის უძველესი დროიდან დღემდე მრავალმხრივი მნიშვნელობით (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული) გამოირჩეოდა დარიალის ჭიშკარი და კასარას კარი. ეს უკანასკნელი მდებარეობს დვალეთის ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა და ისტორიული ბედუკულმართობის გამო მისი უდიდესი ნაწილი დავკარგეთ და ბოლშევიკებმა ჩრდილო ოსეთის ფარგლებში მოაქციეს“. იგივე საშიშროებით, ამჯერად, ვლადიკავკაზელი ოსები ყაზბეგის რაიონს ემუქრებიან. მათი ისტორიკოსების განმარტებით, ყაზბეგი და თრუსოს ხეობა, დარიალის ხეობიდან მოყოლებული თურმე ისტორიულად ოსეთია.(?!).

საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ მეფე ფარნავაზი, დარიალის კლდეკარის მეშვეობით დურძუკეთის (ჩაჩნეთი და ინგუშეთი) სამთავროებს უკავშირდებოდა. ლეონტი მროველის ცნობით, ძვ. წ. II საუკუნეში, მირვან მესამემ, საქართველოს მთიანეთიდან განდევნა დურძუკნი და „შეაბნა კარნი ქვითკირითა და უწოდა სახელად დარუბან.“ („ქართლის ცხოვრება“, I, თბ, 1955, გვ. 28) **თუმცა ისტორია ოსთა ტომების შესახებ, ამ ეპოქებში არაფერს ამბობს.** ოსები, თვითსახელწოდება („ირონ“, „დიგორონ,“) **ჩრდილოეთ კავკასიის ირანულენოვან ტომს წარმოადგენს**, რომელთა შესახებ პირველად ლეონტი მროველი მოგვითხრობს. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა „დაიმორჩილა ოვსნი, ყივჩაღნი, და შექმნა კარნი ოვსეთისაი“. გორგასალს ჯერ კიდევ I საუკუნით დათარიღებულ ციხის ზონაში, დარიალში, ახალი სიმაგრეები („გოდოლნი მაღალნი“) აუშენებია და სიმაგრეების მცველად ადგილობრივი მთიელნი, მოხევეები დაუყენებია. აქედან მოყოლებული ყველა ისტორიულ ეპოქაში მოხევეები საზღვრის მცველებად მოიხსენიებიან. საქართველოს ჩრდილოეთ, (დარიალის) საზღვარს დავით აღმაშენებელი კავკასიის ქვეყნებთან კავშირისთვის უდიდეს სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მეფეს აქ კუმანიად, იგივე დარიალის ციხედ წოდებული ციხის მოპირდაპირე მხარეს დამატებით კიდევ ერთი ციხე აუგია, რომელსაც დღესაც **დავითის ციხეს** ეძახიან. ეს ორი ციხე, (კუმანია მარცხნიდან, ხოლო დავითის ციხე მარჯვნიდან) კეტავდნენ დარიალის ხეობას და ამდენად იგი შეუვალი ხდებოდა მტრისაგან.

დარიალი ყაზბეგისა და თრუსოს ხეობის ჩათვლით დღესდღეისობით, ოსებს სადაო მსჯელობის საგნად გაუხდიათ და თავისი ტერიტორიის ნაწილად თვლიან. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, მომთაბარე ოსები საქართველოში მეთექვსმეტე საუკუნიდან დიდი და პატარა ლიახვისა და ქსნის სათავეებში თანდათან კომპაქტურად სახლდებიან. ამ პერიოდს უკავშირდება მათი დასახლება თრუსოს ხეობაში (ყაზბეგის რაიონი).

ყაზბეგის რაიონი, იგივე ხევი, **სოფელ მნადან** იწყებოდა. ამ სოფლის ზევით იყო ვიწრო გასასვლელი ხეობა, **ე. წ. კასარას კარი,** საიდანაც ოსური სოფლები იწყებოდა. ოსები ნელნელა მოიწევდნენ ბარში კასარას კარიდან და თრუსოს ხეობაში სახლდებოდნენ. მათ ფაქტობრივად ხეობის ოკუპაცია მოახერხეს. **შევარდენი, ოქროყანა, ადო**, ეს იმ ქართული სოფლების ნაწილია, რომელსაც ჩრდილოელი მეზობელი ოსები და მათი **ახლადშექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია „დარიალი“ გვედავება**. საგულისხმოა, რომ სოფელ ადოში, იგივე სახელწოდებით ცნობილ ადოს მინდორზე, **ტოტლებენი** თავისი ჯარით **ერეკლე მეორეს** შეხვედრია, რასაც თვით რუსული წყაროებიც ადასტურებენ.

ისტორიულად ცნობილი ფაქტია ისიც, რომ **ვლადიკავკაზი** რუსებმა როგორც ციხესიმაგრე **1774 წელს, გეორგევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით დაარსეს**, მანამდე იქ იყო ქისტური სოფელი **ზაური**, საიდანაც მოგვიანებით წარმოსდგა სიტყვა **ძაუგი**, ეს იყო პატარა რუსული დასახლება, სამხედრო გარნიზონი, სადაც ოსებმა ჩამოსახლება, ტრაქტატის შემდეგ დაიწყეს. რუსები მათ **„არდაბონცებს“** ეძახოდნენ, რაც ჩამოთრეულს ნიშნავს. **ადგილობრივ ინგუშებსა და ოსებს** შორის სისტემატიური დავა ტერიტორიის გამო, ხშირად სისხლიანი დაპირისპირებით მთავრდებოდა. ინგუშები ოსებს, ვლადიკავკაზში თერგის მარცხენა სანაპიროს დღემდე უშედეგოდ ედავებიან. ინგუშ ისტორიკოსთა ცნობით, გასულ საუკუნეში, გადასახლებიდან დაბრუნებულ ინგუშებს მოხევეებმა დაუბრუნეს თავიანთი ისტორიული სამოსახლო — **ჯარიახის ხეობა**, ხევსურებმა **ასას ხეობა**, ხოლო ტარსკოის მხარეში, სადაც ოსები ცხოვრობდნენ და რომელიც ტერიტორიულად დუშეთის რაიონის ტოლია, ინგუშები იმ მიზეზის გამო ვერ ახერხებენ დაბრუნებას, რომ ოსებს მხარს რუსეთი უჭერს. იგივე ბედი ეწია, წარსულში საქართველოს იურისდიქციაში მყოფ სოფლებს — **ზემო და ქვემო ლარსს, ჩმის** და **ბალთას**.

ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოსულ, 1783 წლით დათარიღებულ რუკებზე — **ბალთა, იგივე ხეთაძე**, საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებშია მოქცეული. **ვახუშტი ბაგრატიონის** შემდეგ, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრად მოიხსენიება სოფელი **ჩმი**, ხოლო სოფელი **ბალთა,** ოსეთის ტერიტორიის საზღვრებში მოექცა. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ოსი მოგზაურის დღიური: „გავიარეთ საზღვარი, რომელ არს ჩიჩმი“. ისტორიული ბედუკულმართობის გამო მოგვიანებით **სოფელ ბალთის ბედი ეწია ჩიჩმის და ზემო და ქვემო ლარსს. საქართველოს საზღვარმა დარიალში გადმოინაცვლა.**

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვარს კიდევ ერთხელ დაემუქრა საფრთხე — ოსებმა საზღვარი დარიალის ხეობაში გადმოანაცვლეს. მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა დახმარება სთხოვა ისტორიკოსს, პროფესორ ვალერიან ითონიშვილს, რომელმაც ერთ კვირაში დაუდო ოსებს დასაბუთებული სტატია, თავისი რუკებით. ამის ნიადაგზე საზღვარი ისევ ზემო ლარსის ტერიტორიაზე გადაიტანეს.

სამწუხაროა, რომ **კასარას კარი** ქართული იმჟამინდელი პოლიტიკის უნიათობით ოსეთის ტერიტორიის ნაწილია. აღარ გვახსოვს, რომ **დვალეთი** საქართველოს ტერიტორია იყო, **ხოლო კასარას კარი — ოსეთში გასასვლელი.**

ვიკმაროთ ქართველთა ხელით ოსებისათვის ჩაბარებული და ჩვენგან შეგნებულად დავიწყებული ისტორიული დვალეთი და კასარა, რომელიც, როგორც პროფესორი ვ. ითონიშვილი გვიამბობს, ისეთივე გასასვლელი ყოფილა ოსეთში, როგორც დარიალის კარი. გავიხსენოთ როკის გვირაბიც, ანტიქართულმა ხელისუფლებამ ქართველ და ოს ხალხს შორის „მეგობრობის“ განმტკიცების მიზნით რომ გახვრიტა, რასაც ჩვენ თვალწინ ისტორიული შიდა ქართლის ოსებისაგან მითვისება მოჰყვა.

შესაძლოა ახლო მომავალში, დარიალის ხეობასაც იგივე საფრთხე დაემუქროს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ვლადიკავკაზში ამ თემასთან დაკავშირებით წარმატებულ აგიტაციას ეწევა ახლადშექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია „დარიალი“. მათი აზრით, დადგა დრო, დაიბრუნონ ყაზბეგის რაიონი და თრუსოს ხეობა, რომელიც წარსულში ისტორიული ოსეთის კუთვნილება ყოფილა, რასაც იმით ადასტურებენ, რომ რაიონის მოსახლეობის ნაწილი რუსეთის მოქალაქეა. მოსახლეობის ასეთი ნაბიჯი კი ისევ საქართველოს ხელისუფლების უნიათობით იყო გამოწვეული, ვინაიდან ხელისუფლებისგან მიტოვებული მოხევეები, სიდუხჭირის გამო, არსობის პურს ვლადიკავკაზიდან მოიპოვებდნენ, რაც ჩრდილოეთ ოსეთთან ტერიტორიული სიახლოვით იყო განპირობებული.

კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებ, მაგრამ საინტერესოა ყაზბეგის რაიონის ამჟამინდელი მაჟორიტარი დეპუტატის **რომან მარსაგიშვილის** ორი ერთმანეთის გამომრიცხავი ინტერვიუ დარიალის საზღვრის გახსნასთან დაკავშირებით: „არა მგონია ყაზბეგის რაიონში ვინმემ შეტევა გაბედოს, ან რატომ უნდა დაიწყონ? ერთი-ორი ადამიანის მიერ გაკეთებულ პროვოკაციას არავინ აჰყვება, ამ მიმართულებით საშიშროებას მე პირადად ვერ ვხედავ“ (გაზ. „ახალი თაობა“; 2009 22 ოქტომბერი), ხოლო საინფორმაციო სააგენტო „FactNevs“—ისათვის მიცემულ ინტერვიუში იგივე აცხადებს: „მე ჩემი არც თუ უსაფუძვლო შიში გამოვთქვი დარიალის საზღვრის გახსნასთან დაკავშირებით, მივმართე საქართველოს პრეზიდენტს, საკითხი დავაყენე უშიშროების საბჭოს სხდომაზეც, სადაც საბჭოს წევრებს მოვახსენე ადგილობრივი მოსახლეობის დანაბარები და მათი საფუძვლიანი შიში, რომელიც შეიძლება გზის გახსნას მოჰყვეს. გავახსენე ოკუპირებული სამაჩაბლო და ახალგორი, იგივე შეიძლება დატრიალდეს ყაზბეგის რაიონში.“(?!)

„მომძე ოსეთი“ კი დროს უქმად არ კარგავს და მსოფლიოს გასაგონად ქადაგებს, თუ ყაზბეგის რაიონსა და თრუსოს ხეობაში საუკუნეების მანძილზე რუსეთის მოქალაქე ოსები ცხოვრობდნენ, მაშინ ტერიტორია როგორაა საქართველოსი. (?) ამ კითხვებზე დასაბუთებული პასუხები ქართველ ისტორიკოსებს დიდი ხანია მომზადებული აქვთ, თუმცა საქართველოს ხელისუფლება ჯერჯერობით დუმს...

რედაქციის მინაწერი:

მდინარე თერგის მარჯვენა მხარეს, სადაც ქართვლის დედის ძეგლი იდგა. ის სამწუხაროდ დღეისათვის აღარ არსებობს. რუსებმა ის ხევში გადააგდეს

ნონა სუჯაშვილი

„კავკასიის“ სპეც. კორ

ჩვენი მოლექსეები



ტარიელ (თენგიზ) ჩიტაშვილი ახმეტის რაიონის სოფელ ხალაწანში — პანკისის ხეობის მოლექსეებით განთქმულ ხეობაში დაიბადა, სადაც ფშავლებთან ერთად ქისტებიც სახლობენ. ხალაწანი თითქმის დაცლილია ფშავლებისგან. ერთ-ერთი ბინადარი ამ ხეობისა, გახლდათ თენგიზ ჩიტაშვილი, რომელიც ამჯერად **თელავის რაიონის სოფელ ლეჩურში სახლობს** და მისი მეუღლე ქისტის ქალია. ჰყავს შვილები და შვილიშვილები. ეს სახელგანთქმული მშრომელი და სტუმართმოყვარე ვაჟკაცი მთელს ცხოვრებას შრომასთან ერთად ლექსების წერასა და კაფიაობაში ატარებს. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფელ ლეჩურს ტრადიციულად მრავალი მოლექსე — მოკაფიავე ჰყავდა. აქედან გარდაცვლილები არიან: გარსევან ბალიაშვილი, ვაჟა წელაური, ვალიკო წელაური, მოსე არჩემაშვილი, ბაბალე ტურაშვილი-ციხელიშვილი, ნათელა ბერეშვილი-არჩემაშვილი, გოგია გამიაშვილი და სხვები.

ამავე რაიონის ფშავლებით დასახლებული სოფელია ლაფანყური. გულისჯავრს აქაც კაფიაობით იქარვებენ. ამჯერად გთავაზობთ თენგიზ ჩიტაშვილის ერთ კაფიას.

შეპარულ გადაკეხილი ლაფანყურელებს

ვილექსოთ ლაფანყურლებო,
წინაპარნ მოვიგონოთა.
მთელ სოფელ ნუ დამეხვევით,
დავსხდეთ, ვილექსოთ ოროლთა
ერთურთს გავძახნოთ ფშაურად,
ყინჩ სიტყვებ გავაგონოთა
ჩვენ მამა-პაპათ წესები,
მომავლებს შთავაგონოთა.
ყოლად ნუ დავიპასუხებთ,
სიტყვები, გავასწოროთა.
უვარგისნი და ბოროტნი,
დავტანჯოთ, დავაღონოთა.
ხალაწნის მკვიდრი შვილი ვარ,
ჩიტაშვილების გვარისა,
კეთილი ხალხის მოყვარე,
ოცდაათის წლის ხანისა.
მელოტი, შეუხედავი,
მლოცავი მთის და ბარისა.
ცნობილ „ბოტაის“ ძმისწული,
სუსტი მაღალი ტანისა.
მინდა ვიუბნოთ, ვილექსოთ,
გულით მომხრე ვარ ამისა.
არავის არ გემუქრებით,
არც თავს ვაყვედრი არვისა.
მიყვარს ფშაური კაფია,
გამთენები ვარ ღამისა.
არვის გეგონოსთ, ვპოეტობ,
პურს ვის ვაჭმევდე ამითა.
კარგა განწყობილ კუპლეტებს,
ზედ ჩავაკვდები, ლამისა.

გაგრძელება ე3-5 გვერდზე ⇒

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს

როშკა — არხოტის გზის მშენებლობა — მოჯადოებული წრე



ხევსურეთი, მწვერვალი „ფირფოსმანი“ ბაბუა ალუდაურის ფოტო

კავკასიონის ქედის გადაღმა, ინგუშეთის საზღვრამდე, 50 კილომეტრზეა გადაჭიმული არხოტის (ასას) ხეობა — საქართველოს უკიდურესი ჩრდილო აღმოსავლეთი საზღვარი, 100.000 ჰექტარამდე ფართობით, საუკეთესო სათიბ-საძოვრებით, წიწვოვანი ტყეებით, ნადირ-ფრინველით მდიდარი, კალმახით სავსე მდინარეებით. ამ წალკოტში დღეს სამი სოფელია — **ჭიმღა, ამღა, აზიელი** დღეს 4-5 ოჯახის ანაბარად დარჩენილი და მათაც თვალი ბარში გადმოსახლებაზე უჭირავთ. დანარჩენი ადგილები ნასოფლარებად არის ქცეული. აქ ორი სახლი უკვე ინგუშებმა შეისყიდეს...

საქართველოს ამ ულამაზეს ხეობაში, რომელსაც, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა თუ იცნობს, დარიალის ხეობის და ოსეთის გავლით, ინგუშეთიდან სამანქანე გზა არხოტის ხეობაში უკვე შესულია. არხოტის ხეობა დგას ქართული მოსახლეობისგან დაცლის საშიშროების წინაშე. თუ არ ვიღონებთ რამეს, ქვეყანა უეჭველად დაკარგავს ამ უძველეს, ლეგენდარულ, სტრატეგიულ მიწა-წყალს.

ამის თაობაზე მრავალგზის დაწერილა ჩემსა თუ სხვათა წერილებში, მაგრამ ის უწყებები, რომელთაც ევალებოდათ ექსპრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის, გზის მშენებლობასთან დაკავშირებულ განკარგულებათა შესრულებაა, რატომღაც საქმისადმი უნიათო და უგულო დამოკიდებულებას ავლენდნენ. უნებლიედ რჩება შთაბეჭდილება, რომ მათ საერთოდ ვერ გაიაზრეს ამ საკითხის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური, და რაც მთავარია ეროვნული მნიშვნელობა, თორემ სხვადასხვა მოტივით ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს არ დახლართავდნენ.

ამ გზის საკითხი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთიანეთის პრობლემათა შემსწავლელმა კომისიამ ჯერ კიდევ 1993 წლის შემოდგომაზე დააყენა. მაშინ მსჯელობა იმით დასრულდა, რომ გზათა მშენებლობის სამინისტრომ საქმე 1994 წლის გაზაფხულისათვის გადადო, მაგრამ „დათქმულმა გაზაფხულმა“ როშკა — არხოტის გზის მშენებლობასთან ერთად „ჩაილურის წყალი დალია“.

1995 წლის 22 დეკემბერს მცხეთა — მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ბარათს, რომელშიც გზის მშენებლობის აუცილებლობა იყო დასაბუთებული, საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა სათანადო რეზოლუცია დაადო. საქმე თითქოს დაიძრა, მაგრამ პრობლემა კვლავ პრობლემად დარჩა.

სახელმწიფო მინისტრის 1997 წლის 22 აპრილის ბრძანებით შეიქმნა როშკ-ა-არხოტის გზის მშენებლობის მიზანშეწონილობის დამდგენი სამთავრობო კომისია 18 კაცის შემადგენლობით, რომელსაც შემდეგ კიდევ ორი წევრი დაემატა. კომისიას დასკვნა ორ თვეში უნდა წარედგინა. ბატონი **კახა არველაძე**, რომელიც ამ კომისიას თავმჯდომარეობდა, საქმეს ენერგიულად მოეკიდა, შედგა კომისიის ორი სხდომა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, მთიანეთის პრობლემათა შემსწავლელ კომისიასთან ერთად, საკუთარი დასკვნა წარუდგინა სამთავრობო კომისიას. შემდეგ ბატონი არველაძე სხვა სამუშაოზე გადავიდა და სხდომებიც შეწყდა, გზის მშენებლობაც „ჩაიძირა“.

გავიდა სამი თვე და წლებიც, რიშკა-არხოტის გზა და სასაზღვრო ზოლში შექმნილი კრიზისული დემოგრაფიული მდგომარეობა აღარავის ახსოვს...

მოვიდა ახალი **21-ე საუკუნეც** დრო კი მიიპარება. მთებშიც ხან ზამთარია, ხან ზაფხული... რა არ დაგვატყდა თავს: ჩვენი სამშობლოს კიდევ ახალი ოკუპაცია... კიდევ ახალი დევნილები...

ხალხი კი, იქაური ხევსურები, რომელთაც არაერთხელ მიმართეს ძველ თუ ახალ მთავრობას საკუთარი გასაჭირის და საქართველოს მარადიული საქმის მოგვარებისათვის, იძულებულნი ხდებიან ბარში გადმოსახლდნენ. გზის გაყვანის შემთხვევაში კი ბარში მცხოვრები არხოტელებიც მზად არიან მამა-პაპათა კერას მიუბრუნდნენ.

ერთი რამ მინდა დავამატო: როშკა-არხოტის გზას, სხვადასხვა თვალსაზრისით დიდი პერსპექტივები აქვს. მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, როგორც მხარისათვის, ასევე ქვეყნისთვის. თუ გზა არ გავიყვანეთ, ამ ულამაზეს ტერიტორიას უეჭველად დავკარგავთ, ხოლო საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ბუნებრივად კავკასიონის ძირითად ქედზე გასწორდება. თუ ამას ვფიქრობთ, მაშინ მთავრობამ უპირველესად როშკა — არხოტის გზის მშენებლობას უნდა მოჰკიდოს ხელი.

ნუთუ ასე ძნელია როშკა — არხოტის 35 კილომეტრიანი გზის გაყვანა?...

დღეისათვის სტრატეგიული და პოლიტიკური თვალსაზრისით ხევსურეთში, როგორც მოსაზღვრე-მონაპირე მხარეში დემოგრაფიული კრიზისი უაღრესად გართულდა და როშკა-არხოტის გზის პრობლემაც დღის წესრიგში უფრო მეტად დადგა. აუცილებელია უყურადღებოდ და უგულისყუროდ. დარჩენილი არხოტის ხეობა დაუკავშირდეს საქართველოს სამანქანე გზას.

რაც შეეხება როშკის ჰესს, რომელიც ჯერ კიდევ 2004 წლის შემოდგომაზე უნდა ამუშავებულიყო, დღემდე არ მუშაობს. **ვიმეორებ, ვიდრე გვიანი არ არის ხოშკა-არხოტის გზისა და ამავე დროს ჰესის ამუშავების პრობლემის მოგვარება, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ საქმედ უნდა იქცეს, თუ გვინდა რომ დამაგრდეს მოსახლეობა და შევინარჩუნოთ ხევსურეთის ეს თვალწარმტაცი, დაცლილი და მოსაზღვრე მონაპირე ტერიტორიები.**

იზა ჯაჭვაძე

⇐ ფე-4 გვერდიდან

ჩვენი მოლექსეები

მაშინა ხვდება ჩემ გულსა,
სუნთქვა მთისა და ბარისა.
მწყემსი ვარ, ცხვარ-თოხლსა ვმწყემსავ
გამთენები ვარ ღამისა.
ძნელია იცის მწყემსობა,
ვინც კი მომსწრეა ამისა.
ყველასთან კარგის მთესველი,
არცად ატეხა შარისა.
მატკბობს, მალაღებს, მახარებს,
სიკარგე ხალაწანისა.
ჩვენი მშობელი, გამზრდელი,
კარგი შვილებიც ჰყავისა.
მანდაც ხო გყვანანთ ჩვენები,
ჩვენი კუთხის და ჭალისა.
ძაან ნუ შამამიწყრებით,
არა ვარ ცუდის გვარისა.
ჯიშით-ჯილაგით ვამტკიცებ,
გამკეთები ვარ ამისა.
ვადიდოთ სალოცავები,
ჩვენი წალკოტი ფშავისა.
როგორ, ლამაზად გვიცქერის,
როგორ, ლამაზად ჰყვავისა
მართლა ღირს საყურებლადა,
დიდი სიტკბო აქვ თავისა.
ნასახლარ-ნაბოსლარები,
დანატოვარი, ძმანისა.
ქვა-ქვაზე შემოდებული,
ნაწყობი — წინაპარისა.
იმათი სულის სახსენად,
ყვავილნი მაინც ჰყვავისა.
პასუხს მოველი, ფშავლებო,
მოლოდინი მაქვს, სხვა რისა.
„ნუ შეგაშინებსთ არ გავნებსთ,
მთიდან ყვირილი ბარისა“.

ტარიელ (თენგიზ) ჩიტაშვილი

პასუხი ლეუანეურიდან

მოვიდა ლაფანყურშია,
შორით კივილი ბარისა.
პანკისით გამოგზავნილი,
გადმოტანილი ქარისა.
აქით მე მოვრთე ბუბუნი,
გადახდა მიყვარს ვალისა,
შენფერა მოლექსეები
აქაც მრავალი გვყვავისა.
პასუხს კი მარტუა გიწერ,
შველას არა ვთხოვ არვისა.
ლექსების მიწერ-მოწერა
წესია ჩვენის ფშავისა.
ნუმც მოგვეშალოს, ფშავლობას
ადათი წინაპარისა.
შენმა სიტყვებმა ძმისწულო,
მეც გული გამიხალისა.
კარგის მოსმენა მახარებს,
არ მეამება ავისა.
მიყვარან ფშავლის შვილები,
ყველა ძმა მგონავ თავისა.
თუმც საქციელი არ მომწონ,
ზოგიერთ ნაბიჭვარისა.
ჩხუბი, ლანძღვა და გინება.
სხვისთვის ატეხა შარისა.
ვთესოთ ყოველთივს სიკეთე,
მუდამ მომხრე ვარ ამისა.
მიყვარს ფშავლების სოფელი,
თქვენი წყალ-ჭალა მთა-ველი
ათას ხუთას კაცს მირჩევნავ,
ერთი ბეჩავი ფშაველი.
სხვა გინდა არა ვარგოდეს,
ენა აქვ, ერთი მტკაველი.
ენა მოქნილი — მორჩილი,
სიტყვა და აზრი ბრძენია.
მიყვარს ფშაური ლექსები,
თვითონაც დამიწერია.
ამასობაში ძმისწულო,
ბევრი გამიხდა მტერია.
ხო იცი არავის მასწონ,
კაცი სიმართლის მთქმელია.
ეხლა კი მოხუცილა ვარ,
თმა გამითეთრდა — წვერია.
სამოც წელს მიუკაკუნე,
ხელთ ჯოხი დამიჭერია.
ჯაფამ და ავადმყოფობამ,
მალევ მამწყვიტა წელია.
თავისთან მეპატიჟება,
მიქეილ-გაბრიელია.
ცოლიც მამიკვდა, დავქვრივდი,
ეხლა მეექვსე წელია.
ხვარავინა გყავთ ნეტარა,
ქვრივი ჩემ შესაფერია.
გამაუგზავნე ბიძასა,
რო გადავხვიო ხელია.
მეცხვარეობა, ძმისწულო,
არარი საწუნელია.
მაგათ ნაპარსი—ნაწველი,
სუყველა გემრიელია.
ნამეტნავ ხორცის ხინკალი,
შიგ რო ჭანჭყარებს წვენია.
გვერდზე რო უდგა ხელადა,
ანწლის არაყით სველია.
რო მაჰკმეჭ მსუქან ხინკალსა,
თან ჩაისველო ყელია.
ამით ვამთავრებ, ძმისწულო,
მერე ვთქვათ დანარჩენია.
მე ხო მოგწერე პასუხი,
ეხლა შენგანაც ველია.

ლუკა მთიბელაშვილი

ხალხური პოეზია „მოსაგონარი“



ლექსო (ვალიკო) ჩოხელაშვილი ერთი ფშაველი კაცია, სტუმარისა და ლექს-კაფიის მოყვარე ოჯახში დაბადებული, თავადაც პოეზიის მოტრფიალე და ამასთან მონადირე. **იგი ფშავში, დუშეთის რაიონის სოფელ კუჰეჭაში** დაიბადა და ლექს-კაფიის სიყვარულიც სწორედ იქიდან გამოჰყვა.

გთავაზობთ მის რამდენიმე ლექსს.

ლექსომ თქვა

ლექსომ თქვა, ნეტავ ვიცოდე,
რა არის ბედი ოხერი,
რა მუხანათი ყოფილა
ტიალი წუთისოფელი.
დამეხვევიან ფიქრები,
ბოღმის და დარდის მომგვრელი,
ბედიც და უბედობაცა
ყოფილან განუყოფელი,
მართალი კაცის მჩაგვრელი,
ვერაგი, დაუნდობელი,
გვარად ვარ ჩოხელაშვილი,
პაპა კი მყავდა ჩოხელი.
მაღაროსკარით მოვედი,
გუდამაყრიდან მომსვლელი,
ფშავია ჩემი კუთხე და
კუჭეჭა ჩემი სოფელი.

სიმღერა სიყვარულზე

ოჰ, სიყვარულო, ეს რა ხარ,
ვფიქრობ და ვერა ვხვდებიო,
ამხელა ძალა რამ მოგცა,
რომ სულ ვართ შენი ყმებიო,
ადამ და ევას მოდგმიდან
მთელ დედამიწას სწვდებიო,
ბევრს დაუმშვენე სიცოცხლე,
ღვთისაგან ნაბოძებიო.
ბევრს გაუმწარე ცხოვრება,
ზოგს გამოაბი ფრთებიო,
და გულისსწორის ძებნაში
გადაატარე მთებიო.
მაინც კი ყველას უნდიხარ
და ყველას ენატრებიო,
თუმცა ჩემი დრო გავიდა,
მე მაინც მახსენდებიო.
რაღა დროს სიყვარულია,
მხრებზე დამაწვა წლებიო,
მეც ჩამომაჭკნობს სიბერე
როგორც დააჭკნო სხვებიო.
ძალიანაც რომ გინატრო,
ჩემთან არ დაბრუნდებიო,
მაგრამ თუ ხორცით ვბერდები,
სულით არ დავბერდებიო,
თუმცა არა ვარ პოეტი,
მგოსნად ხომ გამოვდგებიო,
შენზე ლექსების წერაში
არასდროს დავიღლებიო.

ფშავში ჩამოწვნენ ნისლები

არაგვზე დაწვნენ ნისლები,
გამართეს დიდი ღრეობა,
გარემოს ადევს რძისფერი,
აღარ სჩანს ფშავის ხეობა.
მზეც ვერ ერევა ნისლ-ღრუბელს,
ისეთი სქელი ნისლია,
დამძიმდნენ არაგვის წყლითა
მხრებს უფრო განზე იშლიან.
ნიავი მაინც დაიძრას,
გარეკოს შავი ღრუბელი,
რამდენ წყალს იტევს, ტიალი,
გაშტერებული ვუცქერი.
მინდა ვუყურო ფშავის ხევს,
ამ საოცრებას დავხედო,
რად დამხვდი ასე პირქუში,
ნისლო, ღრუბელო თავხედო.
გაუშვით, ხალხმა იხილოს
ეს საოცარი მთა-ბარი,
ბევრმა სტუმარმა არ იცის,
როგორია და სად არი.
ბოლოს ხომ მაინც აიწევთ,
მალე გაგფუტავთ მზექარი,
უცებ გაქრება,
ნისლებო,
თქვენი ქათქათა
ზეწარი.

ჩემი პარაფლესვდიანი ძმისა!



უსაზღვრო ტკივილად მომივარდა, ჩემო გოდერძი, ჩემო დიდო მეგობარო, შენი გარდაცვალების ამბავი. შორს ვიყავი, შენი გაცილება უკანასკნელ გზაზე ვერ მოვახერხე!

სულ მეგონა, დაძლევდი ტკივილს და გაიმარჯვებდი იმ უბედურებაზე, რომელიც ასე უშელავათოდ ჩაგიბუდდა სხეულში. მძლეთამძლე მთიელი მეგონე და ბედურასავით გულჩიტა გამოდექ, სევდის კაცო, ცასა და მიწას ჩაფოთლილი ნისლთა მესაიდუმლევ. ამასწინებზე შენთან მისულს, ტკივილიანად მითხარი: აბა, მე რა ჯანზე მომბრუნებელი ვარ, გუდამაყარში საუკუნეა ფეხი არ ამიდგამსო! დედის მონატრებაზე მესაუბრე ცრემლიანად. — სულ მგონია, მაღაროსკართან მელოდება შავებში ჩარუმებული და უჩემობით სახეჩამყუდროებულიო. იმის საფლავზე ყაყაჩოების დარგვა მინდა და ნეტა როგორ შეიძლებაო!? საოცარი იყო დედაჩემი, ყაყაჩოების სადღეგრძელოს იტყოდა ხოლმე ერთნახადით და გადაჰკრავდაო.

სულ დარდების ბუღი დაგტრიალებდა, გჯანღავდა, გრთიმლავდა და აგროვებდი სევდას კაცთა. აბა, ვინ შეგედრებოდა მაგისთანა გონსაზრისად ძნელმისაწვდომ საქმეთა კეთებაში.

შენი ლექსები, მოთხრობები, რომანები, ფილმები ერთი დიდი ტკივილია, თვალშეუდგამ კლდედ ასვეტებული, ასე რომ დაუღრუბლავს მთელი საკაცეთი...

ამქვეყნიურმა არვიცრაობამ ვერ დაიურვა შენი თერგკაკაბა და თავანკარა სული და გაფრინდა... ვიცი, სადაც იქნები, ან თეთრგულა მერცხალს ჩაუსახლდებოდი, ან გვრიტისგულა ყოჩივარდას! მაინც ფურისულასავით სიფრიფანებდი მუდამ-ჟამს მოწყვეტის მომლოდინე, ეგრე იყო და მოგწყვიტა კიდეც უნდობარმა ჟამმა

მთას მივალ, დარდსა ვაგროვებ, არაგვში სული უნდა ვაბანაო, მზე მთაზე დავაწვინო და მგლების ხორუმი უნდა გავმართოო... არწივების



გოდერძი ჩოხელი

თვალსაჩინო მწერალი და კინორეჟისორი **გოდერძი ჩოხელი** გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყებს საკუთარი ფილმებისათვის სცენარების შექმნას. მას 16 ფილმი აქვს გადაღებული. ფილმი: „ადგილის დედა“, ობერჰაუზენის ფესტივალის „გრან-პრის“ მფლობელია. ასევე მიღებული აქვს მონტე-კარლოს დიდი პრიზი „ვერცხლის ნიმფა“, იაპონიის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი, ქალაქ ხიროსიმაში კათოლიკური ეკლესიის მიერ დაწესებული პრიზი, მართლმადიდებელი ქვეყნების საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი, რუსეთის პატრიარქის ალექსი II მიერ დაწესებული პრიზი და პრიზი საუკეთესო სცენარისათვის, პირველი ქართული კინოფესტივალის: „ოქროს არწივის“ ჟიურის სპეციალური პრიზი, ანაპის საერთაშორისო კინოფესტივალ „კინოშოკის“ გრანპრი, პრიზი საუკეთესო რეჟისურისათვის, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სახელმწიფო პრემია ფილმისთვის: „ცოდვის შვილები“, სიკვდილის შემდეგ მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალის „წმინდა ანდრიას ჯვრის“ სპეციალური პრიზი.

მისი პირველი კრებულია: „წერილი ნაძვებს“. ამას მოჰყვა „ბინდისფერ ხეობაში“, „მგელი“, „მღვდლის ცოდვა,“ „თევზის წერილები“, „შემინახე დედაო მიწავ“, „ბედი მდევარი“, „ბალახის ცხოვრება“, „სულეთის კიდობანი“, „მე და მე“. რომანი „ადამიანთა სევდა“. „არჩევნები სასაფლაოზე“.

მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, ბულგარულ, იტალიურ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე.

გოდერძი ჩოხელი როგორც კინემატოგრაფიაში, ასევე მწერლობაში მოგვევლინა განუმეორებელი ფილმებით, მოთხრობებითა და ლექსებით. გუდამაყარმა, თვალწარმტაცმა მთამ დაანათლა უდიდესი სულიერება და ნიჭიერება ღვთის რჩეულ გოდერძი ჩოხელს და რაოდენ დასანანია, რომ ამ უსპეტაკესმა და უნიჭიერესმა ხელოვანმა ბოლომდე ვერ ამოწურა თავისი სათქმელი... ჩვენი სამშობლოს ბედითა და ტკივილებით სავსე გადასახლდა სასუფეველში, მაგრამ რაც თქვა, მარადიულ მშვენებად და სამკაულად გაჰყვება დედასაქართველოს გოდერძი ჩოხელის შემოქმედება.

ლაშა-გიორგი კრავეიშვილი

გაგრძელება მე-7 გვერდზე ⇒

...

ნისლი ეგ შენი მიცვალების მერმის აცამაღლებულმა ოცნებამ მითხრა, მტრედის სიწმინდეში ჩასახლებულმა, ძილთაშორის მოფრენილმა.

მენანები, ძმისავ, შენი წასვლით, მგონია, სამყარო დაიცალა, ცას ლურჯთვალება სევდის ფთილა მოსწყდა და ქვესკნელში ჩაინთქა...

შენ **ვაჟა-ფშაველას** და **ალექსანდრე ყაზბეგის** გაგრძელება იყავ, ხარირემივით უღვთო ჟამის მარეკებისგან მთიდან გამოდევნილი და ბარში ჩარჩენილი, მუდამ მთაზე მეოცნებე და ცასთან ახლოს ყოფნას დანატრებული, ამიტომაც დაწერე „ცასწავალა“ და მერმის თავადაც გაიქეცი ცისკენ.

მენანები...

თუმც, იქნებ ახლა უფრო ბედნიერობ იქ, სადღაც, ადამიანთა მზერამიუწვდომ საუფლოში...

ნათელი დაგადგეს, ძვირფასო მეგობარო, ჩვენო სევდის ბუდეშურო, ზეციურობით ამოვსებულო დიდო შემოქმედო!

რა მახსენდება, იცი, ძმისავ, შენ რომ მითხარი, — გუდამაყარში, ქვასამყაროს გორაზე ერთი ლამაზი ყვავილქალა ხარობს და იმის განუმეორებელი სურნელი უნდა გაყნოსვინოო.

— ეგეთი რაა-მეთქი?

— როგორ თუ რაო, ეგ მზეზე შეყვარებულ მთვარეს უნდა მიერთმია გულის სწორისთვის, მაგრამ ის რომ ამოდიოდა, მზე ჩადიოდაო. ბოლოს, დაღლილ მთვარეს წასთვლიმა თურმე, ხელიდან გაუვარდა, აქ, ჩვენთან, გუდამაყარში, ქვასამყაროს გორაზე ჩამოვარდა, ფესვებით მიწას განერთხა და გაიხარაო

— ახლა კი მივხვდი, რა ყვავილიც ყოფილა-მეთქი, — გაგიხარდა!

არა, სულ მეგონა, დევისძალება იყავი და ჩიტისგულა გამოდექ, ცასწავალად იქეც და ფრრ...

გზანათელი, გზანათელი, ძმისავ!

ლაშა გვასალია

საქართველოსთვის!

გაიტანეთ და
შიშველ კარჩხაზე ჩამოჰკიდეთ
ჩემი სხეული,
თუ არ გამოვდექ საქართველოსთვის.
მერე დამწყით და
ეს სხეული, ფერფლად ქცეული
ქარს გაატანეთ საქართველოსთვის.
გაიტანეთ და
შიშველ კარჩხაზე ჩამოჰკიდეთ
ჩემი სხეული
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!

⇐ მე-6 გვერდიდან

აქედან კარგად ჩანს საქართველო

ამომიტანეთ,
რომ მოვკვდები,
საჯიხვეზე ამომიტანეთ...
აქედან კარგად ჩანს საქართველო.
აქ ნისლი დიდხანს არ ჩერდება,
აქ ნისლი ქარში იწეწება.
ამომიტანეთ...
აქედან გული ამაყად იხედება
კლდედ რომ ვიდგები,
დედაჩემი აღარ დაბერდება,
ამომიტანეთ...
აქედან გული ამაყად იხედება;
კლდედ რომ ვიდგები,
დედაჩემი აღარ დაბერდება.
ამომიტანეთ,
რომ მოვკვდები,
საჯიხვეზე ამომიტანეთ,
აქედან კარგად ჩანს საქართველო.

მე კი დავრჩები

მე კი დავრჩები ქვეყანას
ჭრელ-ჭრელა ყვავილივითა,
თავ-თმაზე შემოსაწნავად
ნეფეთნთ გვირგვინივითა,

გოდერძი ჩოხელი

სიკვდილ-სიცოცხლის
შემკვრელად,
ოქროს საამო მძივითა...
დავრჩები გასახსენებლად
ლამაზი სიკვდილივითა.

იაზე ჭრელი პეპელა დაჯდა

დედი, შენ ცრემლზე ია მოვიდა,
იაზე ჭრელი პეპელა დაჯდა,
დედი, ამ დილით მზე ამოვიდა,
სახსოვრად შენი საფლავი დამრჩა.
დედი, დღეიდან ობოლი მქვია,
ობლად ვეკუთვნი ქვეყანას მზიანს
და ვეფერები პატარა იას,
რომელზეც ჭრელი პეპელა დაჯდა.

მე და სოფელი

ვჭიდაობთ მე და სოფელი,
ხან მე ვარ ზემოთ, ხან ისა,
მე ვარ გოდერძი ჩოხელი,
ნატეხი კლდისა, სალისა.
ვიცი, დამმარხავს სოფელი,
სხივს მომფენს მცხრლისა
მთვარისას,
მაინც არ ვიტეხ ჩემ ზნესა,
სულს მზე მინათებს ხვალისა.

ახსნა

ტოროლა მიდის წკრიალით,
როგორ უხდება ზეცას,
ველზე ქრის გრილი ნიავი,
შროშანებს წელში კეცავს.
ირგვლივ მზის სუნი ტრიალებს,
ქვასაც უხარის, ხესაც,
როგორც მიყვარდი აქამდის,
ისე მიყვარხარ დღესაც!

ნარო, ეკალო, ხვიარო

სულაც არ მინდა თქვენ შამხვდეთ:
ნარო, ეკალო, ხვიარო,
მაგრამ ქვეყანა ისეა,
საითაც უნდა ვიარო,
ვერ აგცდით, თქვენი ეკლები,
შიგ გულში მეჭრებიანო;
მაინც არ ვკრთები, ბოლომდის
თქვენ ჯიბრზე უნდა ვიარო.

ბებოს!

ზის ჩემი ბებო მზის გულზე,
ტარს და ფარტენას მართავს,
დაატრიალებს თითისტარს,
ზედ თავის ფიქრებს ართავს.
თუ რამე არ მოეწონა,
საქსოვ ჩხირებზე ძახავს,
ბებოს არ მოეტყუება,
არჩევს მტყუანს და მართალს...
ზის ჩემი ბებო მზის გულზე,
ჭრელ წუთისოფელს ართავს.

არაგვს

სად დაგიჩოქო, არაგვო,
რომელ ტალღაზე გემთხვიო,
თუ მუხლის ჩოქით ამოგყვე,
სათავეს გადავეხვიო.
შენი ნაპირის ლოდები
მინდა, ჩავიწყო გულშია,
თუ სათავემდე ვერ მოვე,
დაგხვდები ანანურშია,
ჭრელ ღილად დაგეკერები
მაგ მოლიცლიცვე სულშია.

ამადაც გვიყვარხარ!..

პოეტი ზურაბ ჯაფარიძე 1965 წელს 7 იანვარს რაჭის ულამაზეს სოფელში სხვავში დაიბადა. სიცოცხლეში ერთი პოეტური კრებულის — „თოვლის როიალის“ გამოცემა მოასწრო. მუშაობდა ლაშა თაბუკაშვილის ჟურნალში „XX საუკუნე“, გაზეთებში „მამული“, „მადლი“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ანონსი“. ჰქონდა გამომცემლობა „ამარანტები“. იყო პოეტური ორდენის „მარად ახალი ქნარის“ წევრი.



1995 წლის 10 ნოემბერს პირიქითა ხევსურეთიდან მასპინძლის რჩევის მიუხედავად, რომ დარჩენილიყო შატილში, ფეხით დაადგა გზას, ამ დროს თოვა და ქარიშხალი უკვე დაწყებული იყო და ამის მიუხედავად გზა გააგრძელა, მაინც გადმოლახა დათვის ჯვრის უელტეხილი, მას შემდეგ ეძებდნენ, გაზაფხულზე კი, ყინულის დნობა რომ დაიწყო, ლოდს ჩახუტებული იპოვეს სოფელ **ხახმატის** სიახლოვეს, მდინარე **არაგვში**.

მისი ტრაგიკული სიკვდილიდან ერთ თვეში დაიბადა მშვენიერი ვაჟიშვილი, რომელსაც მამის სახელი **ზურაბი** დაარქვეს.

ზურაბ ჯაფარიძის მეუღლემ, უკვე თვალსაჩინო პოეტმა ქეთევან დოლიძემ ერთად მოუყარა თავი ზურაბის მოთხრობებს, ჩანახატებს და მეუღლისადმი მიძღვნილ წერილებს. თორმეტი წლის განმავლობაში ამაოდ ელოდა კალკაზე მოქცეული მისი ლექსების გამომზეურებას და აი, წლეულს დადგა მისთვის სასიხარულო ჟამი. თბილისის მერის გიგი უგულავას, მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მამუკა ქაცარავას, მერიის განათლებისა და კულტურის განყოფილების უფროსის შოთა მაღლაკელიძის და საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მაყვალა გონაშვილის დახმარებით გამოვიდა **ზურაბ ჯაფარიძის წიგნი: „სულის ანარეკლი“**.

ეს კრებული ყოველი ჩვენთაგანისათვის უძვირფასესია, რადგანაც ეს მართლაც უდროოდ დაღუპული პოეტის სულის ანარეკლია.

ახლახანს, თბილისის მოსწავლეთა სასახლის სარკეებიან დარბაზში გაიმართა ზურაბ ჯაფარიძის წიგნის პრეზენტაცია და მისი ხსოვნის საღამო, რომელსაც უძღვებოდნენ ქალბატონი **მაყვალა გონაშვილი**, ბატონი რევაზ მიშველაძე და თავად ზურაბ ჯაფარიძის მეუღლე **ქეთევან დოლიძე**. საღამოს უამრავი სტუმარი ეწვია და მეგობრები ამაღელვებელი მოგონებებით გამოვიდნენ.

ზურაბ ჯაფარიძეს განსაკუთრებით გულისტკივილით იხსენიებდა მისი ცხოვრების დიდი მოამაგე ბატონი ზურაბ ჩიქოვანი.

„ამადაც გვიყვარხარ,
ამადაც ხარ გამორჩეული,
იქეცი სულად
მზის სხივს მაჰყევი დედამიწაზე
და მზისადაც მოხვედი!..“

გთავაზობთ ზურაბ ჯაფარიძისა და ქეთი დოლიძისადმი მიძღვნილ გოჩა ხარანაულის ლექსებს.

ლაშა-გიორგი კრავეიშვილი.

დედას

ღამე ნაზად მონანავე ცაცხვზე წვება,
მთვარის შუქი უხმოდ მიდის ზართან.
სოფლის გზაზე აღარავინ მელოდება...
დედაჩემის სასაფლაოს გარდა.
იქ წევს ჩემი გაყინული სიყვარული
და წარსული აცრემლდება დარდად.
საფიცარი აწი არვინ მეყოლება,
დედაჩემის სასაფლაოს გარდა...
ღამე ნაზად მონანავე ცაცხვზე წვება,
მთვარის შუქი უხმოდ მიდის ზართან.
სოფლის გზაზე აღარავინ მელოდება...
დედაჩემის სასაფლაოს გარდა.



ზურა ჯაფარიძეს

სხვისი მკვდარი
ჩამინებული ეგონათო

შენ ვერ იქნები ჩემთვის სხვისი
და ვერცა მკვდარი.
შენ ხარ პოეტი — დედამიწის
დარი და ქნარი!
შენ ვერ იქნები ვერც ჩავლილი,
ვერც გადავლილი.
რა იცის კაცმა, რაა ცრუ და
რაა ნამდვილი!
ვიდრე აქა ვართ, ვერ ვიქნებით
ცრემლის შემშრობი,
თუმცა, რამდენი მკვდარიც გინდა
ცოცხლობს ჩვენ შორის!
რაც შეეხება ზურა, ძმაო! შიშსა და
დარდებს,
სიკვდილის შიში საკუთარი ჩრდილივით
დამდევს!
ყანაც მინახავს ეშმაკისგან მომკილ-
მიმკილი,
ჩემის, რა გითხრა. მეშინია სხვისი
სიკვდილი!
მე ვიცნობ სიკვდილს, ის ჩემშია,
ის მე ვარ თავად.
ვინ მოგვერევა თუ სიცოცხლით
არ გავხდით ავად!
მე ვიცნობ სიკვდილს,
ვაზად ვზრდი და ღვინოდ ვაძველებ...
მერე, დრო მოვა
და ჩემს გაზრდას ის გააგრძელებს!!!

პოეტთა საძმო

ვუძღვნი ზურას, ქეთის

პოეტთა საძმო მოიცავს
წარსულს!
მოიცავს
აწმყოს!
მომავალს-ერთად!
მოიცავს სილას ეშმაკისთვის გაწნულს,
მოიცავს გამმას ათასგვარ ფერთა!
პოეტთა საძმო მოიცავს ტკივილს,
საუბედუროდ მოიცავს ღალატს,
მოიცავს მამლის სამივე ყივილს,
და მეფისაგან ნაბოძებ ხალათს!
პოეტთა საძმო მოიცავს ქვითკირს,
ხშირად ქვითკირის შიგნიდან ჩაშლას,
პოეტი ერთხელ ღვთაებრივს იტყვის,
თუ სიყვარულის სხივი არ ჩაშრა!
პოეტთა საძმო მეგობრობს დროსთან,
და ვით მოსისხლე ამარცხებს იქვე.
პოეტს ზოგიერთს ნათელი მოსავს,
ზოგიერთები დაყრილან პირქვე!!!
პოეტთა საძმო სამყაროს მოჰგავს,
უთვალავ ფერით, ზღაპრულად მართლით,
წყვდიადებიდან სინათლე მოჰყავთ,
ვით ქაჯეთისგან დახსნილი მადლი!
პოეტთა საძმოს უკვდება ძმები!
ხშირად უბრალო შემთხვევით თარსით...
მათ მოაქვთ პურად შეკრული ძნები,
და მოაქვთ დვრიტა არსობის არსის!!!
პოეტთა საძმოს უკვდებათ ძმები...
უშრებათ სისხლი... ეწვებათ ძვლები...
მერე იწყება ზვავების წყებით
წყალდიდობები და მიწის ძვრები!
დარჩენილები რჩებიან წარსულს,
ცოლი, შვილები საკმევლის სუნით,
და ცა რომელიც იზრდება
წამ-წუთს,
ბედნიერია ასეთი
სულით!!!

ბოლო გვერდი

მამა ნახე, ბიძა ნახე...

ეს ხმელ-ხმელი ყმაწვილი თელავის რაიონის სოფელ ფშავლის საჯარო სკოლის მეექვსეკლასელი **დათო რამაზაშვილია**, რომელსაც წინაპართაგან მოსდგამს მკლავის ძალა და მუხლის სიმარდე.

გემახსოვრებათ, როცა ამ საუკუნის დასაწყისში პანკისის ხეობაში რუსეთიდან შემოგზავნილი სპეცსამსახურების წარმომადგენლები ადგილობრივ ჩეჩენ და ქისტ კრიმინალებთან გაერთიანდნენ და ვითარება უმართავი ხდებოდა, ვნებათა დაცხრომაში დიდი წვლილი შეიტანა სტორის ხეობის მკვიდრმა, ახლო წარსულში სწორუპოვარმა ფალავანმა **ლუკა რამაზაშვილმა**, რომლის რაზმსაც ამერ-იმერის სხვადასხვა რეგიონის არაერთი გულანთებული პატრიოტი ამშვენებდა. აი, სწორედ ასეთი ღირსეული მამის ღირსეული შვილი გახლავთ დათო, რომლის საოჯახო სპორტული ტრადიციებისადმი ერთგულება ბიძის – ერთ დროს საბჭოთა კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების წევრის **ლადო მჭედლიშვილის** სახელსაც უკავშირდება.

უმცროსი ასაკის ჭაბუკ ძიუდოისტთა ეროვნული პირველობების არაერთგზის გამარჯვებული, ქართველი ოლიმპიური ჩემპიონებისადმი მიძღვნილი ტურნირის პირველი ადგილის მფლობელი, ბორჯომის საგაზაფხულო ტრადიციული ასპარეზობის ოქროს მედალოსანი, უნივერსალიზმითაც გამოირჩევა. დასტურად ტატამთან ერთად მის მიერ თანატოლთა შორის საქართველოს პირადი პირველობის ხალიჩაზე მოპოვებული უმაღლესი ხარისხის ჯილდოც გამოდგება.

ვიმედოვნებთ, ძლევამოსილი ჩემპიონის მომავალ წარმატებათა შესახებ კიდევ არაერთხელ მოგიწევთ ინფორმაციების წაკითხვა.

გია პლატონიშვილი

მეუფე თადეოზს
(იორამაშვილს)

ბაგეთა შენთა იჩურჩულონ
დიდი ლოცვები
თუ შენ დაგვლოცავ
ღმერთისგანაც დავილოცებით.
შენმა ხელებმა გადაგვწეროს
პირჯვარი კრძალვით
ენამან შენმა დააფრქვიოს,
ნუგეში, მადლი.
არსებამ შენმა მოიაროს
ქართული მიწა
და აზიარეთ ვინც უეცრად
მტრის ტყვიით მიწვა.
გვქონდეს უფლება,
შენს ჯვარს ყველა
ვემთხვიოთ კრძალვით,
შენდობა გთხოვოთ
ზოგმა გულწრფელად
და ზოგმა მალვით.
ხელებმა შენმა, დაე, წეროს
ბევრი ლექსები
სული ამაღლდეს,
ზოგჯერ აზრებს დავესესხები.
მოგვეცი ძალა, რომ ვარჩევდეთ
ბნელსა და ნათელს
დე, წრფელი გულით ავანთებდეთ
მტრისთვისაც სანთელს.
თუ გვერდს აუვლით
საკუნ ჯიბით,
ჩვენსკენ გაწვდილ ხელს
რაღა აზრი აქვს ჩვენი ხელით
დანთებულ სანთელს.
ბაგემან შენმან იჩურჩულოს
ლოცვები დიდი
პოეზიის მადლს აზიარეთ
კეთილიც, ფლიდიც,
დალოცე მიწა, ზეცა, წყალი
და ჩვენც, მეუფე,
ვისაც ცოდვა აქვს
ერთურთისა, დაე, შეუნდე!

ეთერ აბრამიშვილი

10 ივნისს სომხეთში ქართველ მწერალთა სტუმრობისას კლასიკოს მწერალს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს, პროფესორ

რევაზ მიშველაძეს

მიენიჭა

ავეტიკ ისააკიანის პრემია და გადაეცა შესაბამისი მედალი

ბოლო წლებში შექმნილი მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწარმოებებისათვის, ქართველ და სომეხ ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

გაზეთი „კავკასია“ გულითადად ულოცავს ამ უდიდესი მნიშვნელობის ჯილდოს ბატონ რევაზ მიშველაძეს.

გაზეთი „კავკასია“ თავის მკითხველებთან ერთად გამორჩეული სიყვარულით ულოცავს **დაბადების დღეს** ჩვენი დროის თვალსაჩინო ქართველ მწერალს

მერაბ ელიოზიშვილს

გაზეთი „კავკასია“ თავის მკითხველებთან ერთად

ზურაბ მჭედლიშვილს

და

ანზორ ჯაჭვაძეს

ვულოცავთ **დაბადების დღეს.**



ლევან არდოტელი

გაზეთი „კავკასია“ **დაბადების დღეს** ულოცავს სარედაქციო საბჭოს წევრს

რეზო კობიაშვილს

თაია არდოტელი თავის საგვარეულო მურღვას დარდის ციხესთან

გივი წიქარაძე



გიორგი (გივი) წიქარაძე 1939 წელს თელავის რაიონის სოფელ ფშაველში სახელოვან ოჯახში დაიბადა. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და იყო გამორჩეული მოსწავლე. ამბობდნენ: მასწავლებლებს ეშინოდათ მისგან დასმული კითხვების მოსმენაო, რადგან ყმაწვილობიდანვე მრავალმხრივად მოაზროვნე გახლდათ. სკოლაში სწავლის პერიოდში სულ წიგნებთან იყო ჩამჯდარი, მისთვის უმთავრესი საქმე სწავლა იყო.

გივი წიქარაძემ სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და იმავე წელს ჩაირიცხა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტზე მანქანების ძრავების განხრით. ის სასწავლებელშიც სიბეჯითით და გონიერებით გამოირჩეოდა. სტუდენტებისგან გამოირჩეოდა გონიერებითა და წესიერებით. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ორი წელი „სელხოზტექნიკაში“ იმუშავა. იმავე სპეციალობაზე ასპირანტურაში ჩაბარა. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ამავე ინსტიტუტის ლაბორატორიაში, სადაც ქმნიდნენ და ცდიდნენ მანქანების ძრავებს. ამის პარალელურად ინსტიტუტში სტუდენტებს ლექციებსაც უკითხავდა. შემდგომში იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კვლევით ინსტიტუტშია მანქანათა მექანიკის განხრით, რომლის დირექტორიც იყო ცნობილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი **რაფიელ ღვალი**.

გივი წიქარაძემ თბილისში 40 წელი დაჰყო. ბევრი საავტორო ნაშრომის თანაავტორი გახლდათ. შეკვეთები ჰქონდათ საავტომობილო ქარხნებიდან. ხარკოვსა თუ სხვა ქალაქებში დადიოდა სამეცნიერო კონფერენციებზე. თუმცა მისი ხასიათიდან გამომდინარე სამეცნიერო ხარისხი არ დაუცავს. მას მიზანმიმართულება არ ახასიათებდა.

მამის გარდაცვალებამ გივის ცხოვრება სრულიად შეცვალა. არ მიატოვა მამა-პაპური სახლ-კარი და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უყვარდა თავისი საქმე, პროფესია და სამეგობრო, დატოვა თბილისი და დაუბრუნდა მშობლიურ ფშაველს, რომელიც ძალიან უყვარდა. ასევე მამა-პაპეული კერა, ულამაზესი სტორის ხეობა. მან, სოფლის საქმეც ჩინებულად იცოდა. თანასოფლელები ხომ უყვარდა და უყვარდა. აქაურები რჩევას მისგან იღებდნენ, დიდპატარა მისგან სწავლობდა სოფლის სამეურნეო საქმეს. მოკლედ რომ ვთქვათ, ჭკუის საკითხავი ადამიანი იყო, უნიკალური გრძნობა-გონების პატრონი, როგორც თავის სპეციალობაში, ასევე ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ბევრს კითხულობდა. ენციკლოპედიური აზროვნებით შემკობილი ინტელიგენტი სრულიად უბრალოდ ჩაცმულ-დახურული დააბიჯებდა მამა-პაპურ მიწაზე, ველ-მინდვრებში, მთებში. კარგად ჰქონდა შესწავლილი მეფუტკრეობა. გივის განსაკუთრებით ვენახი უყვარდა. სათუთად უვლიდა და ესიყვარულებოდა შვილივით ნაზარდ ვაზს; კახურ ტრადიციებზე აღზრდილი, საუკეთესო ქვევრის ღვინოს ამზადებდა.

გივი მეტად კეთილშობილი და მოსიყვარულე იყო. არ გვახსოვს, ვინმესთვის ეწყენინებინოს. მეგობრები თბილისიდან ხშირად აკითხავდნენ ხოლმე. მათაც ძალიან ენატრებოდათ და უყვარდათ. სტუმრების დანახვაზე გივის სიხარულის ცრემლები სცვიოდა, სოფელშიც ხომ ძალიან უყვარდათ. ყველას ეხმარებოდა.

გივის უეცარმა გარდაცვალებამ ხალხი ძალიან შეაშფოთა. ასე ამბობდნენ: ამისთანა კაცი ფშაველში ალბათ საუკუნეში ერთი თუ დაიბადებაო.

გლოვობს მთელი სოფელი გივი წიქარაძის გარდაცვალებას, გლოვობს მისი სახელოვანი ოჯახი – მეუღლე ნანა იაშვილი, ორი ქალიშვილი და ოთხი შვილიშვილი, სანათესაო, მეგობრები.

მარად ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული, ჩვენო გივი!

თანასოფლელები

დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი მთავარი რედაქტორი

იზა ჯაჭვაძე

რედაქტორი ლაშა-გიორგი კრავეიშვილი

რედაქტორის მოადგილე დიანა გიგიაძე

სარედაქციო საბჭო: ივანე წიკლაური, კობა ბუჩუკური, რეზო კობიაშვილი, ლევან ცალუღელაშვილი, გიორგი იჩუაიძე, ნუგზარ იდოიძე, ნატა ბორჩაშვილი, ლეილა არჩემაშვილი, მარინე თექთუმანიძე, ლეილა არაბული, მზია ხეთაგური, ომარ მარუქაშვილი.

გაზეთი არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს, ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალებში შეტანილი ფაქტების სისწორეზე, ავტორთა მოსაზრებები შესაძლოა არ ეთანხმებოდეს რედაქციის პოზიციას. გაზეთიდან მასალის გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია

მისამართი:
კოსტავას ქ.№14
ტელ: 52-16-38
899-79-76-13